ეროვნული ბიბლიოთეკა

დროება

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 171. კვირა, 2 აგვისტო 1909 წ. დამატების № 30.

ლოთი

გუი დე—მოპასანისა.

სამხრეთის ქარი გულსაკლავად ზუზუნებდა. დაღვრემილ ცაზე ელვის სისწრაფით მიილტოდნენ შავბნელი ღრუბლები, შხაპუნა წვიმას უშვებდნენ დედამიწაზე.

აზვირთებული ზღვა კვნესოდა და ირგვლივ ნაპირზე მიდამოს აზანზარებდა. უზარმაზარი მოქაფქაფე ტალღები თავდავიწყებულის გატაცებით მიექანებოდნენ და, ზარბაზნების გრგვინვის მსგავსად, ეხეთქებოდნენ ნაპირებს. ერთი მეორის მიმდევარი ტალღები მძიმედ ყურყუმელაობდნენ და, მთასავით უზარმაზარ ხროვად ქცეულნი, იტყოცნიდნენ თოვლსავით თეთრს ქაფს საგრძნობელ მანძილზე.

იპორტის პატარა ველზე ქარიშხალი მძვინვარებდა. ქარიშხალი კვნესოდა, მოსთქვამდა სტვენა-ზუზუნით, ჰგლეჯდა ას წლოვან ხეებს, იტაცებდა სახლის სახურავებს, ამსხვრევდა და მიწასთან ასწორებდა ყველაფერს, რაც მის ნებაყოფლობას წინ ელობებოდა. ქალაქის ქუჩებზე ქარიშხალი ისე თავისუფლად ნავარდობდა, რომ გამვლელთ კედელზე გაკვრა უხდებოდათ, პატარა ბავშვებს კი, რომელთაც ჩაიხელავდა, ფოთოლსავით აბურთავებდა და საგრძნობელ მანძილზე ისროდა.

მეთევზენი შეშინდნენ: სათევზაო ნავები გადაათრიეს მშრალზე; ეშინოდათ, ალვირ ასხნილ ზღვას არ გაეწყვიტა თოკი და არ მოეტაცა. რამდენიმე მეზღვაური, ნავების რგვალ ძირში გაწოლილი, გაშტერებული უყურებდა ბუნების გააფთრებას. შემდეგ ისინიც აიშალნენ, თვინიერ ორი მეზღვაურისა, ვინაიდან ღამე იწყებოდა, რომელიც შავბნელ ზეწარში ჰხვევდა გააფთრებულ ოკეანეს — სტიქიონის გამოუთქმელ ხმაურობას. ქარიშხალი უფრო და უფრო ძლიერდებოდა. მეზღვაურები ჯანყით სავსე ნორმანდელი მეთევზენი იყვნენ, რომელნიც ხშირ წვერით მოსილ სახით გასცქეროდნენ ზღვას.

— მე დღეს დომინოს თამაში მწადიან, იერემია, წავიდეთ, გპატიჟობ! — დაიწყო ერთმა მათგანმა.

ვისკენაც ეს სიტყვები იყო მიმართული, ის მეთევზე უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა, უარ-ეყო თუ გაჰყოლოდა ამხანაგის რჩევას. ერთ მხრივ მოსვენებას არ აძლევდა მაცდური მოგონება ამ წინაზე პომელთან დალეულ არყისა და დომინოს თამაში; მეორეს მხრივ, ცოლზე დარდი არა შორდებოდა, რომელიც ამ ჯოჯოხეთურ წარღვნაში მარტოკა იყო. მცირე სიჩუმეე შემდეგ წაილაპარაკა:

— არ მესმის, ღმერთმანი, შენი ქცევა. თითქოს გადაგეწყვიტოს, ყოველ ცისმარე დღე დამათრო. თუ კაცი ხარ, ეს მითხარი, რა სარგებლობა მოაქვს შენთვის ყავახანაში

ახალი მინისტრ-პრეზიდენტი საფრანგეთისა არისტიდ ბრიანი.

ბრიანი მიმართულებით თავისუფალი სოციალისტია.

წასვლას, თუ მუდამ დანახარჯს შენ გადაიხდი?

ამ სიტყვების დასასრულ იერემიამ სიამოვნებით გადიხითხითა, რადგან თვალწინ ცხოვლად წარმოუდგა სხვის ხარჯზე დალეულ არყის რაოდენობა; იმ გვარ სიცილით იცინოდა, რომელსაც ჩვეულნი არიან ნორმანდელნი, როდესაც თავიანთ თავს მოგებულად სთვლიან.

მატიურენს კი, მის ამხანაგს, მკლავში მაგრა ხელი წაევლო იერემიასთვის და პომელის ყავახანისკენ მიათრევდა.



გლეარიუ,

რომელიც თავის მონოპლანით (ჰაერში მფრინავი მანქანა) ლამანშის სრუტეზე გადაფრინდა, საფრანგეთიდან ინგლისში.

(იხ. „დროება“ № 162)

— გეყოფა, ნუ ჭირვეულობ, იერემია! წავიდეთ. ამ შავ-ბნელ ღამეს არა ღირს სახლში დაბრუნება, მით უმეტეს, რომ მუცელი ფერდებს გაგკვრია. ნუ სწუხარ, შენი ცოლი გაგითბობს ლოგინს.

— ამას წინად ვერ მივაგენი სახლის კარებს... ჩვენი სახლის გასწვრივ წყარო რომ ჩამოდის, იქიდან ამომათრიეს. —მიუგო იერემიამ.

ქეიფის მოგონებაზე ისევ იწყო დაუსრულებელი ხითხითი და თან ზლაზნით მილასლასებდა მატიურენთან ერთად ყავახანისკენ, რომლის სარკმლიდანაც ბჟუტავდა სინათლე.

ყავახანა მრავალ რიცხოვან მეზღვაურებით იყო გაჭედილი, რომელთა ხმაურობაც ყურთა სმენას აბეზრებდა; თამბაქოს კვამლი კი თავისუფლად დასცურავდა დარბაზში და შეუძლებლად ხდიდა იქ მყოფთა გარჩევას. მატყლის ტლანქ სამოსელში, მაგიდაზე ნიდაყვ დაყრდნობილი მეზღვაურნი ისე ერთგულად ხმაურობდნენ, გეგონებოდათ, ერთმანეთს ექიშპებიანო. საერთო აურზაურს და ხმაურობას აორკეცებდა მარმარილოზე აგდებული დომინოს კენჭები.

იერემია და მატიურენი დარბაზის ერთ კუნჭულს მიუსხდნენ და იწყეს დომინოს თამაში, თანაც ჭიქას-ჭიქაზე დაუზარებლად ისტუმრებდნენ არაყს თავიანთ განიერ ყანყრატოსკენ. თამაშის გათავების შემდეგ კიდევ ხელ ახლა მიჰყვეს ხელი და გადასანსლეს ჭიქებით არაყი. მატიურენი მხნედ მოქმედებდა; მოავლებდა თუ არა თვალს გამოცლილ ჭიქებს, მყის აავსებდა, თანაც თვალით ანიშნებდა ჩასუქებულ, ცეცხლებრ წითელ ყავახანის პატრონს, რომელიც ისეთის გამომეტყველებით ხითხითებდა, თითქოს მხიარულ სანახავს ელოდა; იერემია კი ცრემლ მორეულს თვალებით დაკმაყოფილებულ მეტყველებით მუსრავდა არაყს, რომლის დროსაც თვალს არ აშორებდა ამხანაგს.

ყავახანა ნელ-ნელა იცლებოდა. კარების ყოველ გაღებაზე, გააფთრებული ქარი ელდა ნაკრავივით შემოიჭრებოდა ყავახანაში, მძლავრის შემოქნევით არხევდა ჰაერში სქლად ჩამოწოლილ კვამლს და მარცხნივ და მარჯვნივ აკონწიალებდა ჭერში ჩამოკიდებულ სანათს. შორს კი გაისმოდა ყრუ ღმუილი სალკლდეზე განრთხეულ ტალღებისა და გიჟური კვნესაზუზუნი გააფთრებულ ქარიშხალისა. გულ გაღეღილი იერემია სუფრას იმ წესით მოსჯდომოდა, რომელიც სიმთვრალეს მოასწავებს: ფეხები გაეჭიმა, ერთი ხელი ჩამოვარდნოდა მაგიდიდან, მეორით კი დომინოს კენჭებს ჰყრიდა.

ყავა-ხანა მთლად დაცარიელდა; მხოლოდ იერემია და მატიურენი ყავახანის პატრონითურთ იყვნენ დაცარიელებულ დარბაზში. ეს უკანასკნელი ცნობის მოყვარებით მიუახლოვდა მათ და დაეკითხა:

— როგორ არის, ჰა, იერემია, საქმე? სმის შემდეგ მოცოცხლდი თუ მოეშვი!

— რაც მეტს ჩაასხავ მუცელში, მით უფრო მშრალდება.—წაილულღლულა იერემიამ.

ყავა-ხანის პატრონმა ახლა მატიურენს შეჰხედა ცბიერად და ჰკითხა:

— სად არის შენი ძმა, მატიურენ?

მეზღვაურმა ყრუდ ჩაიხითხითა და მიუგო:

— დარდი ნუ გაქვს, არ შესცივა!

მეორედ თამაშიც გაათვეს.

— გამიგონეთ, ბატონებო,—დაიწყო ყავა-ხანის პატრონმა:—თქვენ სანათს და ლიტრას დაგიტოვებთ, მე-კი დასაძინებლად წავალ, როცა გაათაოთ, მატიურენ, კარები დაუკეტავი არ გაუშვა, გასაღებს ჩვეულებრივ ალაგზე ჩამოჰკიდებ.

— გავიგეთ, ყველაფერს მოვახერხებთ!

— პომელი გამოთხოვების შემდეგ გაეშურა ქშენით საწოლ ოთახისკენ. რამდენსამე ხანს მისი მძიმე ნაბიჯი ყრუდ გაისმოდა დაცარილებულ ყავა-ხანაში, შემდეგ გაისმა ტკაცუნი და ყველაფერი მისწყდა. ეს პომელის დაწოლის ნიშანი იყო.

მეგობრები განაგრძობდნენ თამაშს. დრო გამოშვებით ქარი მძლავრად ეხეთქებოდა კარებს, აზანზარებდა კედლებს, რაც უნებლიეთ არღვევინებდა მატიურენს და იერემიას თამაშს და ზევით ახედებდა. კედლის საათმა დაჰკრა შუაღამე. საათის ხრინწინი აგონებდა ადამიანს დახავსებულ რკინის ხმაურებას. მატიურენი საათის დახმაურებაზე მყისვე წამოდგა. ამ შემთხვევაში ის ზედგამოჭრილი მეზღვაური იყო, რომელსაც, დროს გატარების შემდეგ, სამსახურიც არ ავიწყდებოდა.

— დროა წავიდეთ, იერემია! — მიუბრუნდა მატიურენი ამხანაგს.

იერემია ზლაზნით, რის გაჭირვებით, გაიმართა წელში, მაგრამ ფეხები არ ემორჩილებოდნენ. მაშინ როდესა მატიურენი სანათს აქრობდა, იერემია კარებს ებღაუჭებოდა და კარების გაღებას სცდილობდა. გავიდნენ ქუჩაში. დაპირებისამებრ მატიურენმა ყავა-ხანა დაჰკეტა, რის შემდეგ ამხანაგს მიუბრუნდა.

საფრანგეთის ზრუმის მინისტრი რენე ვივიანი,

თავისუფალი სოციალისტი.

— ახლა კი დავიშალნეთ, ერემია, დროა, ღამე მშვიდობისა!

ამ სიტყვებით მატიურენი განშორდა ამხანაგს და შთაინთქა ბნელ უკუნეთში. იერემია მარტო დარჩა. ირგვლივ ხორციელი არა სჩანდა, თვინიერ ქუჩაზე ობლად მბჟუტავ სანათისა. მან დააპირა წასვლა. წასდგა ნაბიჯი და... შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორტმანდა. რომ მიწაზე არ განრთხეულიყო, წაიშველა ხელები, იპოვა კედელი და პოტინით გაუდგა გზას.

გააფთრებული ქარი ბეჭებში ეხეთქებოდა და რამდენიმე ნაბიჯს მის უნებლიეთ ადგმევინებდა. ქარი სუსტდებოდა, რითაც ერემია სარგებლობდა,—საშუალება ეძლეოდა ნელის სიარულისა. არაქად გამოლეული იერემია გზა და გზა

საფრანგეთის ფოსტა-ტელეგრაფთა მინისტრი ალეძ. მილიერანი,

თავისუფალი სოციალისტი.

ჩერდებოდა, ვინაიდან ფეხები არ ემორჩილებოდნენ, შემდეგ ლასლასით გაუდგებოდა გზას ტ ჯდებოდა. ბოლოს ერთ ადგილას შეჩერდა, რადგან საკუთარი ბინა იცნო; უნდოდა გაეღო, მაგრამ დაკეტილი აღმოჩდა. მაშინ დიდხანს იწყო ხელებით ფათური, რომ კლიტე ეპოვნა და გასაღების შემწეობით გაეღო. ილაჯ გაწყვეტილმა უშედეგო ძებნით, ბრაზმორეულმა კარების გაჯიუტებით, მოუხშირა ბრახუნს და ხმა მაღლა ძახილს:

— მელინა! არ გესმის, მელინა!

იერემიას ძახილი ყრუდ გაისმოდა შავ-ბნელ ღამის სიჩუმეში და მყისვე იქარწყლებოდა. პასუხი არსაიდან იყო. მაშინ არყისაგან თავდავიწყებამდი მისული, აღვირ-ახსნილი იერემია მთელის ტანით მიეხეთქა კარებს. კარმა დაიჭრიჭინა, დაემორჩილა და გაიღო. ინერციის ძალით იერემიამ ვერ შეიკავა თავი, ისარივით შევარდა ოთახში და იატაკზე გაიშხლართა. უცბად რაღაც მძიმემ გადურბინა ტანზე და გაჰქრა ბნელ ღამეში. შიშით რეტ-დასხმული იერემია გაშრა, ქვასავით გაშეშდა. მას თავის გონებაში ტარტაროზი წარმოუდგა. ბოლოს რა დაინახა, რომ არავინ რას ერჩოდა, დაუბრუნდა მთვრალ აზროვნების მცირედი ნასახი, მძიმედ წამოჯდა და ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ წაილუღლუღა:

— მელინა!

პასუხად იდუმალი სიჩუმე იყო. მაშინ იმის დაქანცულ აზროვნებაში მკრთალად გაიელვა გამოურკვეველმა სჯვმა. უძრავად იყო ერთ ადგილას. გაჩუმებული იჯდა ბნელ ოთახში და ჰკრეფდა ისეთსავე სუსტს, არა მტკიცე აზრებს, როგორიც იყო მისი ფეხები.

მცირე ხანს კიდევ და მისმა მისუსტებულმა ხმამ დაარღვია მყუდროება.

— თუ ქალი ხარ, გამიმხილე, ვინ იყო ახლახან აქ, მელინა... მითხარი და არას გერჩი!

აღელვებული იერემია პასუხს მოუთმენლად ელოდა, მაგრამ უნაყოფოდ. ყველაფერი კვლავინდებურ სიჩუმეში იყო გახვეული. ცოლის მხრივ გაყუჩება გულს უღრღნიდა, და ყელში ბოღმა მორეულმა შეჰყვირა:

— ვიცი, მთვრალი ვარ! დიახ, მთვრალი! იმან დამათრო, ისე ძალიან... იმ უსინდისო... რომ ამ ღამეს სახლში არ უნდა დავბრუნებულიყავი. მელინა, მთვრალი ვარ, დიახ, მთვრალი!.. ნუ გაყუჩებულხარ, ხმა ამოიღე, მელინა, თორემ ამ ოჯახში ცოდოს დავატრიალებ!

იერემია უფრო და უფრო ხმას უმატებდა.

— ის მიტყუებდა და ყასიდად მაღამებინებდა ურჯულო პომელთან; მერე ერთხელ და ორჯელ კი არა, ყოველ ცისმარე დღე. ახლა მესმის საქმის ვითარება, ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებაა... ჰოი, ცბიერებო!..

იერემია მთვრალ ადამიანის დაჟინებით განაგრძნობდა შეუწყვეტელ ლაპარაკს. შემდეგ წამოდგა. გულის სიღრმეში დაბადებული ბოღმა ახმაურდა, ყელში მოაწვა.

— უკანასკნელად გეუბნები, მელინა, ვინ იყო აქ?.. მითხარი, თორემ ნაკუწ-ნაკუწ აგჩეხავ, არ გესმის!...—ამ სიტყვებით იერემიამ მეზღვაურის მძლავრი ხელით მოიქნია სკამი და სთხლიშა ლოგინს. სარეცლიდან მოისმა გულ-გასაგმინავი კივილი. მაშინ იერემიამ უკედ მოიმარჯვა სკამი და ანგარიშ-მიუცემლად დაუშინა სარეცელს. ახლა კი კანტი-კუნტად ისმოდა მინელებული კვნესა, შემდეგ ისიც მისწყდა. სარეცელზე არაფერი იძროდა. და ბნელით მოცილ ოთახში სკამი მრავალ ნაფლეთად გაიფანტა. იერემიას სკამის ერთი ფეხი ღა შერჩა ხელში. მაინც არ შეჩერებულა, კვლავ თავდავიწყებით განაგრძობდა საქმეს...

უცებ შეჩერდა, გაშტერდა და წარმოსთქვა:

— არც ახლა იტყვი, შე ავხორცო!

მელინა სარეცელში არ იძროდა. დაღლილ-დაქანცული, ჩადენილ საქმის სისასტიკით გამხეცებული იერემია დაეშვა იატაკზე, გაიშხლართა და... ჩაიძინა.

გათენდა მეორე დღე. იერემიას მეზობელმა ადრე დილით შენიშნა გაღებული კარები, შევიდა შიგ ამბის გასაგებად და დაინახა: იატაკზე გაშხლართული, ღრმად მძინარე მეზღვაური, იმის გარშემო სკამის ნაფლეთები ეყარა, სარეცელში კი—სისხლში არეული, ნაკუწ-ნაკუწად ქცეული ხორცის ხროვა...

ვლ. ცაგ—ია.

მუსა-მირი,

რევოლიუციონერთა არტილერიის უფროსი (თეირანის აღების დროს).

უნიჭო ნასწავლი

არ ცოდნა ჰქვიან იმ ცოდნას,
ვინც ვერ იყენებს ცოდნასა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღლის მოკვლა სჯობს ათასჯერ
ტყუილად ირმის ლოდნასა.

აგრეთვე უნიჭოს სწავლა
ვაებით შენაძენია,
ოქროს ჰგავს ღორის კუდზედ ბმულს,
პირის არ მისაწვდენია.

ნიჭიერ იყოს ვაჟკაცი
და თუნდა უცოდინარი,
ნიჭი უნიჭოს სწავლაზე
ათი-ათასჯერ წინ არი

„ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა!..“
ჭკვითა და მოხერხებითა
კოლო ლოკს დაიმონებსა

სწავლა ის არი, ვისაც რომ
კარგი რამ შეუსმენია
და ცოდნით თვისით ქვეყნისთვის
სარგო რომ შეუძენია.

უსწავლელი სჯობს ვაჟკაცი,
თუ ქვეყნის მარგებელია,
სწავლა რად უნდა ნასწავლსა,
თუ კაცის მავნებელია?!

დაბრიყვებული.



ბლერიოს მონოპლანი.

მონოპლანი ძირსა დევს, გასაფრენად მომზადებული.

წვრილი ამბები

გადაყენებული სულთანი აბდულ-ჰამიდი ახალგაზრდობაში

ჟურნალ „ნინეტ. კენტ.“-ის ივნისის ნომერში დაბეჭდილია ა. ვამბერის მოგონებანი ოსმალეთის გადაყენებულ სულთნის აბდულ-ჰამიდის შესახებ. მოგონების ავტორი გადაყენებულ სულთანს 16 წლიდან იგონებს. ამ ხანებში ვამბერი ფრანგულ ენას ასწავლიდა აბდულ-ჰამიდის დას პრინცესსა ფატმა-სულთანეს. აბდულ ჰამიდს ძალიან უყვარდა პრინცესსა და თითქმის სულ მასთან ატარებდა დროს.

აბდულ-ჰამიდმა თავისი ახალგაზრდობა მხიარულად ვერ გაატარა. მას არავინ უყვარდა და არც არავის ის უყვარდა. აბდულ-ჰამიდი სწავლას თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. სამაგიეროდ, მუდად ჰარამხანის მოსამსახურეებში ტრიალებდა და დაუსრულებლად ყურს უგდებდა სხვა და სხვა ჯორს. მალე აბდულ-ჰამიდი დაუახლოვდა სულთან აბდულ-ჰაზისის მეუღლეს პერტეკალი კადიკს. პერტეკალი კადიკი გაუნათლებელი ქალი იყო და მთელ თავის სიცოცხლეს მკითხაობაში და ჯადოსნობაში ატარებდა. პერტეკალ კადიკმა დიდი გავლენა იქონია აბდულ-ჰამიდზე, ამასაც შეუყვარდა მკითხაობა და ჯადოსნობა. უფრო უყვარდა ვარსკვლავთ-მრიცხველობა. აბდულ-ჰამიდი ისეთივე გაუნათლებელი იყო, როგორც მისი მოსამსახურენი. მეცნიერება ჭირივით ეჯავრებოდა. მხოლოდ ერთ რამეში ჰქონდა ნიჭი—ცხენის ჯირითში და გიჟ ცხენების მოხედნაში. მომავალი სულთანი სულ ნადირობასა და ჯირითში ატარებდა დროს და თუ თავისუფალი დრო რჩებოდა, ჰარამხანის მოსამსახურების ჭორებს უგდებდა ყურს. ამასთან აბდულ-ჰამიდი ძალიან ხელ მომჭირნო კაცი იყო, თვეში ჯამაგირად ეძლეოდა 8500 მანეთი. ამ ფულით მოსამსახურებსაც ინახავდა, თავის თავსაც და ტახტზე ასვლის დროს 595,000 მანეთიც ჰქონდა შენახული. აბდულ-ჰამიდს დედა მალე მოუკვდა, იგი განმარტოებით იზრდებოდა და ეს იყო მიზეზი, რომ აბდულ-ჰამიდი ძალიან ეჭვიანი ადამიანი გახდა. იგი ყველგან და ყოველთვის მტრებს ჰხედავდა, დღე და ღამე მოსვენებას ვერა ჰპოებდა. საკმაო იყო პატარა ხმაურობა გაეგო, რომ ზეზე წამომხტარიყო და ისეთის შეშინებულის სახით, რომ კაცს გაუკვირდებოდა. ყველასთვის საიდუმლოებას შეადგენდა, სად იძინებდა აბდულ-ჰამიდი; ღამე შიშით თითქმის სულ არ ეძინა და დილით სახე გაწითლებული და დაქანცული დგებოდა. ევროპიელთაგან აბდულ-ჰამიდს დაახლოვებული ჰყოლია ვამბერი და ძალიანაც ენდობოდა თურმე. მეო, სწერს, ვამბერი, სულთნად ნამყოფი ყველაფერში მენდებოდა როცა. კი მინდოდა, დაუკითხავად შევდიოდი იმის ოთახებში, მაგრამ რაიმე განსაცდელისა ყოველთვის მეშინოდა, ისეთის გაფუჭებულის ხასიათის კაცი იყო აბდულ-ჰამიდი. იგი დიდ ადგილს მპირდებოდა, შემეძლო მინისტრობა და ელჩობა მეშოვნა, მაგრამ კარგად ვიცოდი მისი ხასიათი და მარტო უცხოელ მეგობრის სახელით ვკმაყოფილდებოდი.

მაიმუნების სკოლა ჰამბურგში.

ქალაქ ჰამბურგში ვიღაც კარლ გაგენბეკს დაუარსებია მაიმუნების სკოლა. ამ სკოლაში მაიმუნებს კარლ გაგენბეკის მიერ შემუშავებულ სისტემაზე სწვრთვნიან. სკოლას აზრადა აქვს, გაიგონ, რამდენად შეიძლება განვითარდეს კაცის მსგავსი მაიმუნი. მაიმუნების წრთვნამ დიდი ნაყოფი გამოიღო. უფრო შესანიშნავად გაიწვრთნა მაიმუნი, სახელად მორის პირველი. ეს მაიმუნი დადის ეტლით, ველოსიპედით, სწერ



ბლერიოს მონოპლანი.

მანოპლანი მიფრინავს.

პაპიროს, აქრობს და ანთებს ლამპას, ჰკეტავს სახლს და სხვას. ამას გარდა, მორის პირველი ისე სცხოვრობს, როგორც კაცი: იცვამს ტანისამოსს, სძინავს კროატზე, სადილის დროს ხმაროობს კოვზსა და დანა-ჩანგალს. მას თვალყურს ადევნებს კარლ გაგენბეკი, ისე კი დამოუკიდებლად სცხოვრობს. მოგზაურობის დროს მორის პირველს აცვია ნაცრის ფერი სამგზავრო სერთუკი, წითელი ყილეტი, ჰხურავს სამგზავრო ქუდი და ფეხებზე აცვია ყვითელი ფეხსაცმელი. მგზავრობიდან დაბრუნებისას მორისი ნაცნობს სალამს აძლევს, თავის პატრონს კი ჰკოცნის და სხვა. სადილის დროს ადამიანისაგან ვერ გამოარჩევთ თურმე.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე ელექტრო-მბეჭდავი მ. დ. კიკნაძისა, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 17.